საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრაციის ბიუროს
ორგანიზაციების აუდიტის,
ანგარიშგების მანდატურის დეპარტამენტი
"21" 02 2014 № 59/24

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 59/24

ქ. თბილისი 21.02.14ნ

შემსყიდველი:	სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი, აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაშვილის სახით
მისამართი:	სანაპიროს ქ.№2, თბილისი 0114, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი:	203 824 148
მიმწოდებელი:	შპს „თბილი სახლი", მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით
იურიდიული მისამართი:	ქ.თბილისი, კოსტავას გამზ. №76;
ფაქტიური მისამართი:	ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №20, ტელ.: (+995 32)231 15 25/35
საიდეტიფიკაციო კოდი:	204 976 179
საბანკო რეკვიზიტები:	სს „საქართველოს ბანკი", ბ/კ BAGAGE22 ანგ. № GE 19 BG 0000 0001 7557 9101

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) არსებული მოდინებით-გამწოვი სავენტილაციო სისტემის (AHU) მილგაყვანილობის მწყობრიდან გამოსული ნაწილების (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა.

№	აღწერილობა	ზომის ერთ.	რაოდ.	ფასი (ლარი)
1.	მილტუჩა (70 მმ)	ცალი	2	150.0
2.	მილი (70 მმ)	მეტრი	1	40.0
	სულ ჯამი (ლარი)			190.0

1.2. მიმწოდებელს ევალება აგრეთვე თანმდევი მომსახურების გაწევა (შესყიდული ნაწილების მონტაჟი, მისი გამართვა და გამოცდა). (CPV კოდი: 44163100, 44167110)

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ-ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და/ან შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე კირვალიძე და სპეციალისტი ლეონიდ კლუევი;

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. საქონლის მიღება–ჩაბარების პირობები

3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება (თანმდევი მომსახურების ჩათვილით) უნდა განახორციელოს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე ერთიანად არა უგვიანეს 2014 წლის 28 თებერვლისა;

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

3.3. საქონლის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

3.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით;

3.5. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 190 (ას ოთხმოცდაათი) ლარს („ხელშეკრულების ფასი");

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

4.3. ხელშეკრულების ფასის (ან მისი ნაწილის) გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული საქონელი;
მოწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წამოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა შეადგენს 1 (ერთი) წელს საქონლის მიღების თარიღიდან.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%–ის ოდენობით;

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%-ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. გარანტია

7.1. შესყიდული კვანძის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ყველა გამოვლენილი ხარვეზი ან შეცვალოს კვანძის დაზიანებული ნაწილი შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან;

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;

12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

12.3. ხელშეკრულების გაწყვეტის ინიციატორი ვალდებულია, სულ მცირე 2 დღით ადრე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ;

12.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
გიორგი მელაშვილი	**მალხაზ კურტანიძე**
საქართველოს ეროვნული ბანკის	შპს „თბილი სახლი“
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაშვილი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე კირვალიძე და შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის სპეციალისტი ლეონიდ კლუევი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სებ-ის სათაო ოფისის ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) არსებული მოდინებით-გამწოვი სავენტილაციო სისტემის (AHU) მილგაყვანილობის მწყობრიდან გამოსული ნაწილების შესყიდვისას (მიმწოდებელი შპს „თბილი სახლი", ს/კ 204 976 179) არ იწვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტს.

აღმასრულებელი დირექტორი	გიორგი მელაშვილი
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	გიორგი მელაშვილი
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	ალექსანდრე კირვალიძე
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის სპეციალისტი	ლეონიდ კლუევი

21.02.2014 წ.